ჟ26/2 ა 8414

ალმური

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 1 (281) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 14 იანვარი

„ვინ მოყვარესა არ ექებს, იგი თავისა მტერია“

შოთა

მრავალს ჟ26/2 დაესწარით!



ქართველ ხალხს მრავალი ბედნიერი ახალი წელი გასთენებია. ფეხბედნიერი მკვლელ ოჯახის დალოცვას რომ მოჰყვებოდა, მასპინძელს პირველად მშვიდობას უსურვებდა.

მშვიდობა კი ქართველ კაცს იმისათვის უნდოდა, რომ ყანაში გულდაგულად ემუშავნა, ბაღ-ვენახები ეყვავებინა, დოვლათი ემრავლებინა, გზები და ხიდები, ტაძრები და სასახლეები ეშენებინა.

ქართველი კაცი მშვიდობიან ახალ წელიწადს ნატრობდა, რადგან უომარი და მოსვენებული წელიწადი არც ისე ხშირად ჰქონდა.

უფრო მეტად ქართველ ხალხს ახალი წელი ხანძრების ალით უთენდებოდა. მოსეული მტერი სახლ-კარს უნგრევდა, ვენახს უჩეხავდა, ბავშვებს აკვნებში უხოცავდა და ტყვედ ჩავარდნილებს შორეულ ქვეყნებში მიერეკებოდა.

მაგრამ ომიდან ომამდე მცირე სულის მოთქმა კმაროდა, რომ მიმჭრალი კერა ისევ ანთებულიყო, ახალი აკვნები დარწეულიყო და ნანგრევებზე აღმართული კედლები მაღლა ასულიყო.

ითესებოდა თესლი კეთილი, იჭედებოდა რკინა და რვალი, იწერებოდა წიგნები, ხმაურობდა მოშენებული სოფლები და ქალაქები.

იმ ხანმოკლე სულის მოთქმისას იქმნებოდა სულიერი კულტურის ის ძეგლები, რომლებიც ქართველი ხალხის უკვდავებისა და თვითმყოფობის ბეჭდით არიან აღბეჭდილნი და რომელნიც სამუდამოდ დარჩენიან ჩვენი ერის, ქართველთა მოდგმის სიამაყედ.

ფენიქსებრ აღმდგარმა და განახლებულმა საქართველომ წლეულს ბედნიერი ახალი წელი გაითენა. ორმოცდაათი წლის მშვიდობიანმა ცხოვრებამ, დაუღალავი შრომით მოპოვებულმა დოვლათმა ქართველ ხალხს თავისი უკვდავების რწმენა და ხვალინდელი დღის იმედი კიდევ უფრო განუმტკიცა. ერთ დროს მტრებისგან ნაოხარ მინდვრებზე ეხლა ტრაქტორებისა და კომბაინების გუგუნი ისმის, ვაზისა და ჩაის მწკრივების მწყობრი სტრიქონებით დაწერილი საქართველოს ახალი წიგნი უზრუნველი ბავშვების ჟივილ-ხივილით იფურცლება, ელექტრონის შუქით გაჩახჩახებული სოფლები და ქალაქები ერთმანეთს გადაბმიან და ომახიანად გაისმის დაუსრულებელი სიცოცხლის საგალობელი — მრავალჟამიერი.

საქართველოში ამდენი ნაჩვევანი არასოდეს დაწურულა ქართველი მუშისა და გლეხის შრომის ნაყოფს ამდენი მერქნისაკენ გზა არასოდეს დაუვლევია.

სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები!

ქართველი ხალხის კულტურის დღევანდელი დონის გამომხატველად მარტო ერთი ციფრიც კმარა: ქართული გაზეთი „კომუნისტი“ დღეს 600 ათასი გამოდის! არა მგონია, რომ სადმე, მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში მკითხველთა საერთო რაოდენობასთან ეროვნულ გაზეთს მსგავსი შეფარდება ჰქონდეს!

ჩვენი ქვეყნის არნახული მიღწევები ჩვენი ხალხის შემოქმედებისა და შრომის ნაყოფია.

დღეს, როცა სიხარულით ვხვდებით ახალი წლის მობრძანებას და ახალ გამარჯვებებს ვპირდებით ჩვენს სამშობლოს, არც იმათ ვივიწყებთ, ვინც ამ ბედნიერებას მოკლებულია, ვისაც რაიმე მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს თაკის მშობლიურ მიწა-წყალზე, თავის წინაპართა კერაზე შეხვდეს ახალ წელიწადს.

ქართული მწერლობის ერთ ძველ ძეგლში სწერია: „შცთობა ისეთი ღრუბელია, ნაღვლის წვიმის წვეთის მეტი არ ჩამოედინება რაო“.

ძნელია და მწარე უცხოეთში, სხვათა ხიზნად ცხოვრება, მშობლიური ცის დანახვის დაუსრულებელი ნატვრა!

მაგრამ ისინი, ვინც დღეს საქართველოდან შორს ასწევენ საქართველოს დიდების სადღეგრძელოს, ვისაც თავისი დედაენა არ უარუყვია და ახალი საქართველოს შემდგომი ბედნიერება გულწრფელად სურს, ჩვენთან არიან და ჩვენც მათ სადღეგრძელოს ვსვამთ.

ბედნიერი იყოს ეს ახალი წელიწადი სამშობლოს მოყვარული ყველა ქართველისათვის, მათთვის, ვინც სიტყვითა და საქმით ახალი საქართველოს სიკეთესა და გამარჯვებას ემსახურება!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!

გრიგოლ აბაშიძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი.

როცა თბილისელები ახალ წელიწადს ხვდებოდნენ...









ვიტყვი — თბილისმა დაიძინაო და თვალწინ წარმოგვიდგება ხალხისაგან დაცარიელებული ქუჩები და გამზირები, მყუდროებით მოცული ქარხნები და ფაბრიკები, ნათურებჩამქრალი სახლები და სასახლეები, სწრაფი ნაბიჯით მიმავალი დაგვიანებული მგზავრები და უდროოდ გზად დამდგარი მანქანები...

მაგრამ ღამის თბილისსაც ჰყავს თავისი მომღერალი და მეხაიდულე. მათ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან: თბილისმა ჩვილ ყრმასავით ლამაზი ძილი იცის, მის მყუდროებას პროჟექტორებით აბრდღვიალებული ნარიყალა და მთაწმინდა სდარაჯობსო... კარგად არის ნათქვამი, კეთილი თვალით არის ნამზერი, მაგრამ ჩვენმა მოუსვენარმა საუკუნემ ღამის ტკბა ასწავლა დიდ ქალაქებს... დაბინდებიდან გარიჟრაჟამდე ერთი პირი ძილი მტკვარსაც ერევა, მაშვრალი თბილისი კი ჩასათვლემადაც ვერ იცლის...

დედაქალაქს მაჯისცემა 31 დეკემბრის ღამეს გავუსინჯეთ... და ჩვენი ქალაქის ბევრი კუთხე-კუნჭული მოვიარეთ.

ასჩრი ჩვენი არსობისა.. 150 ტონა პური და პურ-ფუნთუშეული ცხვებოდა თბილისში იმ ღამეს. შვიდ ქარხანაში, 19 მექანიზებულ თორნესა და 18 საშაქარლამოში 300 კაცი შრომობდა, რათა გათენებისთანვე ქალაქის 330 მაღაზიაში თბილისელებისათვის მიერთმიათ თეთრი, თალხი, შავი პური...

ქართული პური ვნებავთ? მართალია, 30 ტონიდან, რომელიც ღამით ცხვება, უმეტესობა მექანიზებული თორნეების ნახელავია, მაგრამ აქა-იქ კვლავაც ერთგული რჩებიან მამაპაპური წესებისა: ცომს ხელით ზელენ და გავარვარებულ თორნეში მთელი ღამე ფეხის წყვერებით არიან ჩაკიდებული. გათენდება და თბილისელი მეპურე ქალაქებს ჭირუნახულოდ, სიყვარულით და ცალი შრომით გამომცხვარ დედასპურს სთავაზობს...

ირველი მანქანა თბილისის რძის კომბინატის ეზოდან ღამის 3 საათზე გამოვიდა... პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და გარიჟრაჟამდე 5 ათეულზე მეტი შოფერი 500 ფურიდან გზიდება 75 ათას კილოგრამ რძეს, 5 ათას კილოგრამ არაჟანს, 7.500 კილოგრამ ხაჭოს...

ყიდულობენ ახლად გამოღვიძებული თბილისელები რძის კომბინატის მუშების ნახელავს და, ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ მათ დასამზადებლად 150 კაცმა ღამე თეთრად გაათენა, რომ მათი სამუშაო დღე ძილისპირულთან ერთად დაიწყო, დამთავრებით კი ალიონზე, მზის ამოსვლისას დამთავრდა, აი მაშინ, საახალწლო არდადეგებზე დათხოვნილნი გია, ლელა, პაატა რძესა და მაწონს რომ შეექცეოდნენ...

ზოგი ქარხანა კაცის გულივით არის — მისი გაჩერება, ღუმელების გაცივება არ იქნება. ამ ქარხნებში ერთის სამუშაო დღე დილის 8 საათზე რომ იწყება, მეორე ქარხნისაკენ ღამის 12 საათზე მიიჩქარის. რა თქმა უნდა, ღამის ცვლაში ღუმელებთან მდგომ ადამიანებს ხელფასიც მეტი ეძლევათ და განსაკუთრებული მზრუნველობითაც სარგებლობენ. თბილისის გაზის აპარატურის ქარხანამ 1958 წლიდან დღემდე გამოუშვა ნახევარ მილიონზე მეტი გაზქურა, რომლის დიდი ნაწილი მეორე და მესამე ცვლაში მომუშავე ადამიანთა ნახელავია.

სიკეთეს სიკეთითვე უპასუხებენ: ღამის ცვლის მუშებს 15 პროცენტით მეტი ხელფასი ეძლევათ, სასადილოში მათთვის უფასოდ ამზადებენ გემრიელ კერძებს... უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაზის აპარატურის ქარხნის მუშებმა ასობით ახალი ბინა მიიღეს. ნამდვილად ალალია მათზე!..

ძნელია თბილისში კაცი მოძებნოთ, სამუშაო თუ უქმე დღეს ჟურნალ-გაზეთებზე თვალის გადაუვლებით რომ არ იწყებდეს...

„კომუნისტი“, „თბილისი“, „ცისკარი“, „ლელო“... ვიღებთ ჩვენი საფოსტო ყუთებიდან და ვთხოულობთ საგაზეთო ჯიხურებთან... ადამიანები კი, რომელთაც ეს გაზეთი ჩვენთვის შეექმნეს, ღამენატეხნი ძილს ეძლევიან. მილიონი ცალი გაზეთი დაბეჭდეს! დაღამებისთანვე აფრინეს მანქანა, აეროპორტიდან „პრავდის“, „იზვესტიის“ მატრიცები რომ მოეტანა, ჩამოასხეს გვერდები და აგუგუნდნენ საბეჭდი მანქანებიც.

ყოველღამე ფხიზლობენ სტამბის ლინოტიპისტები და დამკაბადონებლები. ქართული პრესის პირმშოს „კომუნისტის“ თითოეულ ასოს დაჰფუსფუსებენ კორექტორები და მბეჭდავები. გაზეთის 6.000-ათასიან მკითხველს რომ ასიამოვნონ, გულით და სულით შრომობენ ჯემალ იაკობიძე, გოგი პაპინაშვილი, ზერო ლაღიძე, რადამეს ჭელიძე, შოთა დავითური, ფრიდონ ჭუმბურიძე, არჩილ რევაზიშვილი, ტარიელ ფსუტური, ამირან ზარიძე, თეიმურაზ კანდელაკი, სოკრატ ხაჩატუროვი, სერგო მამალაძე, სოსო ყიფიანი, გივი ლოლაძე, ფილიპე იმნაიშვილი, რევაზ ხანთაძე... ვინ მოთვლის ყველას? ირიგრაჟებს და დაბეჭდილი გაზეთები საექსპედიციო განყოფილებაში გადაინაცვლებს, 170 კაცი ემსახურება მათ დახარისხებას და შეფუთვას... ექსკავატორები უკაცოდ ტვირთავენ მანქანებს, საფოსტო განყოფილებებისა და გაზეთის ჯიხურებისაკენ, თვითმფრინავებისა და მატარებლებისაკენ, რომ ეზიდებიან ქუთაისში, თელავში, ყვარელში, მახარაძეში, ცხაკაიაში, ყაზბეგში, მესტიაში, ნოღაეთში... გასაგზავნად.

შეკითხვაზე — რა კეთდება სტამბის მუშების საკეთილდღეოდ, მიპასუხეს: ღამის ცვლაში მომუშავეებს ემსახურება რამდენიმე მანქანა, სასადილოში კვებავენ უფასოდ, დილომში სტამბის მუშებისათვის კიდევ შენდება 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც სამ-ოთხ თვეში დამთავრდებაო.

სატკივარმა დაუკითხავად ღამითაც იცის მოძალება. ჰაი რომ არც ახალი წლის ღამეა გამონაკლისი! ყოველღამე თბილისელთა ჯანმრთელობას დარაჯად უდგას 72 ექიმი, ამდენივე სამედიცინო და, სასწრაფო დახმარების ასამდე დამხმარე მომსახურე. საავადმყოფოებში კი მორიგეობს 128 ექიმი, 458 სამედიცინო და, ხუთასზე მეტი დამხმარე მომსახურე... ღამეს ტეხენ ფიცნადები დასტაკრები, რომ თბილისელებმა ახალ წელიწადსა და ყველა ღამეს უშფოთველად ილხინონ და იძინონ.

...სამშობიარო სახლები ხომ ცალკეა კიდევ, იმათი საზრუნავიც იმ დედისეულ ტკივილთან არის დაკავშირებული, ახალი ადამიანის სიცოცხლის დასაბამს რომ მოსდევს ქართველი ხალხის მოსამრავლებლად. ახალი წლის ღამეს ოცდაათ გახარებულ მამათაგან ჩვიდმეტს აუწიეს ყური მოკეთეებმა.

უკანასკნელი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტიდან ღამის პირველ საათზე გადის. წყდება მოტორების გუგუნი და ვერცხლისფერ ლაინერებს აეროპორტის მომსახურე პერსონალი ჰაერში ასასვლელად ამზადებს.

ისინჯება მოტორი და ელექტროსელსაწყოები, ავზი ივსება საწვავით, სუფთავდება სალონი. დილის 6 საათზე აეროპორტი უკვე მგზავრებით არის სავსე. ერთი საათიც და ცაში პირველი ლაინერი აიჭრება, პირველს მეორე მიჰყვება... სხვა ქალაქებიდან მოსულ თვითმფრინავებს უმასპინძლებს თბილისის საჰაერო ჭიშკარი.

მოდიან სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, პარიზიდან, ნიუ-იორკიდან... მოდიან ყოველჟამს, რადგან ბუნება არ არჩევს დღესა და ღამეს, ჩვენი მფრინავებიც მზად არიან მადლიანად, მზრუნველობით ჩამოუყვანონ სტუმრები თბილისელ მასპინძელს.

აეროპორტის მსგავსად რკინიგზის სადგურიც აღარ იკარებს ძილს. ღამის მატარებლები, მართალია, არც ისე ბევრია, მაგრამ დილაადრიან შორ გზაზე მიმავალი ვაგონების წესრიგზე მოყვანა ღამით ხდება, ღამითვე ტვირთავენ და ცლიან სატვირთო ვაგონებს.

ავტობუსებისა და ტროლეიბუსების პარკიც ფხიზლობს, ახალი წლის ყოველ ღამეს, როცა თბილისელებს სძინავთ, საქალაქო ტრანსპორტი განთიადის შესახვედრად საგულდაგულოდ ემზადება. 100 ტაქსი მთელ ღამეს მორიგეობს ქალაქის ქუჩებში, ახალი წლის ღამეს კი ქალაქის ტაქსმოტორის გაერთიანებამ გაითვალისწინა ქართველთა ნათესავებში, მშობლებთან, შვილებთან გადასვლისა და გადაოცვის ჩვეულება, ამიტომ 1971 წლის გასაყარსა და 1972 წლის მიჯნაზე მტკვრის ორივე მხარეს 200 ვოლგისპირული სიამაყე დაჰქროდა.

საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, როცა თბილისზე ღამე მოიკალათებს, სამი ათასზე მეტ კაცს ალაპარაკებს მოსკოვსა თუ ვლადივოსტოკთან, არხანგელსკსა თუ მურმანსკთან... ახალი წლის ღამეს კი თბილისის საერთაშორისო ტელეფონის მაშვრალებმა 5.000 კაცი ალაპარაკეს მოკეთეებთან.

აბა, როგორ დაუდოს ხელი დღესა და ღამეს დეპეშების დამტარებელმა! დეპეშას ხომ მაშინ ვგზავნით, როცა ძალიან გვიჭირს, ან ძალიან გვიხარია. ტელეგრაფის მუშაკებიც ყოველღამე ხუთასამდე უმეტესად კარგისა და ზოგჯერ ავის მაუწყებელ ქაღალდს აბარებენ ადრესატებს... ახალი წლის ღამეს კი თბილისელებს ათეული ათასი მოლოცვის დეპეშა ჩაჰბარდათ.

წერილებისა და ამანათების დახარისხება-დატვირთვაც ღამით ხდება. ყოველდღე თბილისიდან 400 კილოგრამი წერილი და 6 ათასი ცალი ამანათი იგზავნება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში...

თბილისის სიამაყე — მეტროპოლიტენის კარები ღამის ორის ნახევარზე იკეტება, მაგრამ მელიანდაგეების, ენერგომომმარაგებლების, მექესკალატორეების, შტატით გათვალისწინებული გვირაბების შემკეთებლების, უმალ კი მხოლოდ დამთვალიერებლების, რადგან შესაკეთებელი ჯერაც არაფერია, — სამუშაო დღე სწორედ ამ წუთიდან იწყება. შემომველები გულდაგულ ათვალიერებენ ლიანდაგების ყველა კვანძს, საკონტაქტო რელსის იზოლატორებს, იწმინდება და საცხები ესმება რკინის ყველა ნაწილს, თბილისელების სიცოცხლე რომ აბარიათ დღისით და ღამით, საგულდაგულოდ მოწმდება საისრო გადამყვანები, გვირაბებისა და სადგურების ელექტროქსელი.

ზამთრის ყოველ გრძელ ღამესა და განსაკუთრებით ახალი წელიწადის წინ მოძრავი შემადგენლობა წესრიგზე მოჰყავთ ჩვენს საამაყო ღამის მაშვრალებს, ვაგონებს მექანიკურად რეცხავენ და დილის 6 საათზე კვლავ იღება მეტროპოლიტენის კარები, რათა ყოველდღიურად 300 ათას მგზავრს მოემსახუროს, მეოცე საუკუნის ეს თბილისური ჯადოქარი.

ახალი წლის ღამეს, როგორც ყოველ თბილისურ ღამეს, საავარიო სამსახურის თანამშრომლებიც ფხიზლობენ. ელექტრონი თუ გაზი, წყალსადენი თუ გათბობა ყოველ ღამეს უნდა შეუფერხებლად ემსახურებოდეს დედაქალაქის მკვიდრთ. თუ რომელსამე მათგანს ბზარი გაუჩნდა, გამოცდილი ინჟინრები და ტექნიკოსები ყოველ წუთში მზად არიან მოვიდნენ საშველად, თავიდან აგვაცდინონ ხიფათი.

ქალაქის სიმშვიდეს დარაჯად უდგანან მეხანძრეები, რომელთა სიფხიზლე დაბინელებასთან ერთად ერთიორად იზრდება; სწორედ ამ სიფხიზლისა და გააზრებული შრომის შედეგია, რომ შარშან თბილისში არც ერთი დიდი ხანძარი არ ყოფილა.

ემთავრესად ღამით ასუფთავებენ დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს, შეაკეთებენ დაზიანებულ ასფალტს, ასობით მაშვრალი ღამეს ტეხს გულითად შრომაში, რომ დილით გამოსულ თბილისელებს კეკლუცად დასუფთავებული და მოვლილი ქუჩები დახვდეთ, ბარაქალა მათ შრომას!

ქალაქის მყუდროებას დღედაღამ ერთნაირად სდარაჯობს ჩვენი ჭეშმარიტად სახალხო მილიცია. ახალ წელიწადს მაინც ქართულ ღვინონარევ სიფიცხესა და ახალგაზრდობას განსაკუთრებით სჭირდება გულისხმიერი და მომთხოვნი ფხიზელი თვალი და სამართლიანი გული...

* * *

ესმით ჩემი დედაქალაქი ახალი წლის ღამეს, როცა ჩვენ ვიღვიძებთ, როცა გვძინავს... ღამის ბინდში გაჩირაღდნებულ უბერებელ მილიონიან დედაქალაქს რომ სძინავს, როცა ერთი პირი ძილი მტკვარსაც კი მოუვა, მაშვრალი თბილისი ჩასათვლემადაც ვერ იცლის...

ჩვენმა საუკუნემ დამისტეხა ასწავლა დიდი ქალაქების ალალ მაშვრალებს.

კეთილიმც იყოს ახალი, 1972 წელი მათთვის, ვინც მას ღხინის ნაცვლად შრომით შეეგება, უდიდესი და უპირველესი ღხენა რომ არის კაცისა!

რევაზ მაჭავარიანი

სურათებზე ზევიდან: ილიასი და აკაკის ძეგლი რუსთაველის გამზირზე; ყოველ განთიადს მოვლილ-მორწყული ხვდება ქალაქი; თბილისის მეტრო ღამითაც ფხიზლობს; ალალი შრომით დაკრული დედასპური.
ლადო რიონელისა და ედუარდ ვიგილანტის ფოტოები.

საახალწლო მილოცვები



ნ რ ფ ე ლ ი გულით ვულოცავ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ახალ წელიწადს!

ბედნიერება მოეტანოს მათთვის 1972 წელს, ჭმუნვა და დარდი გადაეყაროს, მეტი ხალისი და მხნეობა მოეცეს, დედასაქართველოს წინსვლის ახალ მაჩვენებლებს კიდევ უფრო გაეხარებინოს მათი გული და ეს აღტაცება დაესაფუძვლოს მათსავე პირად მიღწევებს, ვით მძლავრი სტიმული — ძალის მომცემი და წყარო აღმაფრენისა.

ვუსურვებ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთ, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, არ დაევიწყებინოთ ენა ქართული — პირველი ნიშანი ჩვენი ეროვნული თვითმყოფობისა, არ გაეწყვიტოთ თავის ერთან და სამშობლოსთან დამაკავშირებელი ეს სასიცოცხლო ძაფი, სათუთად მოსაპყრობი, თვალისჩინივით მოსავლელი. ყველა ქართველის გულისძიძირამდეა დასული მცნება. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“ (გრიგოლ ორბელიანი) — მძლავრი ფორმულა, ამსახველი ერის კონსოლიდაციისათვის ენის განუზომელი მნიშვნელობისა. მოგუაროთ და დავიცვათ „დიდი სახალხო ქონება“.—ქართული ენა (ილია ჭავჭავაძე), — „ჩვენი სუნთქვის დიდი ალამი“, „აკვნის ჰიმნი--იბერის ენა“ (ირაკლი აბაშიძე), — ვიზრუნოთ დედაენის ისტორიული უფლების შენარჩუნებისათვის, მისი შეურყვნელობისა და სიწმინდისათვის.

ქართველმა კაცმა ყოველთვის კარგად იცოდა, რომ ჩვენი დედაენა, რომელშიც აღბეჭდილია ხალხის ისტორიული განვითარების საფეხურები უხსოვარი დროიდან მოყოლებული, მუდამ იყო ჩვენი ცივილიზაციის მძლავრი იარაღი და ძირითადი ფაქტორი ერის სულიერი გამდიდრებისა, მისი შემოქმედების, ეროვნული თვითშეგნებისა.

მინდა ასევე გულწრფელად მიეულოცო ახალი წელიწადი საზღვარგარეთელ ქართველოლოგებს, დიდად პატივცემულ უცხოელ სწავლულთ, რომელთა უანგარო და თავდადებული ქართველოლოგიური მოღვაწეობა ცნობილი და დაფასებულია მთელ საქართველოში. ჩემი სალამი პარიზის ქართველოლოგიური ჟურნალის სულისჩამდგმელს პროფესორ კალისტრატე სალიას, რომელმაც წელიწადს შვიდ ათეულ წელს გადააბიჯა და სრული იმედია, ბატონი კალისტრატე და ქალბატონი ნინო ხელისუფლიშვილებულნი კვლავინდებური შემართებით უმესვეურებენ ამ მძლავრ ფილოლოგიურ კერას უცხოეთში.

ბედნიერი და ხვავიანი ყოფილიყოს ახალი, 1972 წელი ქართველი საბჭოთა სწავლულების მეგობარი ქართველოლოგებისათვის, რომლებიც აშუქებენ მეცნიერული მიუდგომლობით და საგნის სიყვარულით ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების სისხლხორციეულ საკითხებს.

ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს ვუსურვებ ქართული კულტურის მეგობრებსა და დამფასებლებს.

მრავალჟამიერ!

შოთა ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.



უ ყ ვ ე ლ ა ქართველს, სამშობლოში, თუ სამშობლოდან დაშორებით მცხოვრებს, ვულოცავ ახალ, 1972 წელს. გისურვებთ ყველა თქვენი ძველი დარდი და ტკივილი თან წაიღოს წარმავალმა წელიწადმა, მომავალმა კი ბედნიერება და წარმატება მოგიტანოთ.

კარგად ვიცი, რას ნიშნავს უცხოეთში მცხოვრები ქართველისათვის სამშობლოდან მოწვდილი ხმა, როგორ გახარებთ საქართველოსა და მისი ხალხის წარმატებანი, ისევე, როგორც ჩვენ გვეამაყება თქვენი სასახელო საქმენი.

ვისურვებდი, მომავალში ჩვენი ურთიერთობა უფრო მჭიდრო და საქმიანი ყოფილიყოს.

ვისურვებდი, ახალმა შეხვედრებმა და კონტაქტებმა მეტი სიხარული და სარგებლობა მოგვიტანოს.

მრავალ ბედნიერ ახალ წელიწადს დაესწარით, ჩემო ძვირფასებო!

მარიამ ლორთქიფანიძე,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ჩ ვ ე ნ ი ცხოვრების დინებაში ყოველი წელიწადის ჩათავება და ახალის წლის მოვლინება სრულიად განსაკუთრებული მომენტია, საერთო დღესასწაული, როცა საყოველთაო ზეიმში ყოველი მოქალაქე თავისი საქმიანობის ანგარიშს ადგენს.

ჩვენს პირად სამყაროში ახალი წლის მოახლოება იწვევს ყველაზე ინტიმური საზრუნავის ამოტივტივებას. ეს არის დრო, როცა არ გვასვენებს ფიქრი ჩვენგან დაშორებულ ახლობლებზე...

მე კარგად ვიცი, რაოდენ მწვავედ გეძალება ამგვარი ფიქრი, როცა ადამიანი გადახვეწილია შორს თავისი ქვეყნიდან და ცხოვრება უხდება სხვა ერის შვილთა შორის..., რაგინდ მეგობრულადაც უნდა ეპყრობოდნენ ის უცხონი, მაინც ვერ ავსებენ მის ოცნებასა და წადილს, არ ძალუძთ გაიზიარონ მისი ადამიანური განცდები, რადგან სხვა დედაენასა და ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, სულ სხვა წარსული, სხვა აწმყო, სხვა ადათები და ჰანგები აღელვებთ.



საქართველო თავისი უბადლო სტუმართმოყვარეობით მასპინძლობს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ უამრავ სტუმარს და მათ შორის განსაკუთრებული სითბოთი ეგებება თავისი ერის შვილებს. დაე, 1972 წელს ეს სითბო ელერსოს მრავალს!

სერგი წულაძე



ა ხ ს ს ე ნ დ ე ბ ა უიარაღოს შესანიშნავი მოთხრობა „მამლუქი“. ამ ნაწარმოების მიხედვით საქართველოს კინოსტუდიამ შექმნა ამავე სახელწოდების მხატვრული ფილმი, სადაც მთავარ როლებს მე და ჩემი მეუღლე — კინომსახიობი ოთარ კობერიძე ვასრულებდით.

ნაწარმოებს ერთობ ტრაგიკული ფინალი აქვს: შორეული ეგვიპტის მიწაზე ორი დაცემული მებრძოლი ჩაკვრია ერთმანეთს. ერთს ძვირფასი არაბული ხალათი აცვია, მეორეს — ვენეციური გვარდიელის მუნდირი.

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ ორივენი საქართველოს შვილები იყვნენო, — ამბობს ავტორი.

თქვენ დიდი, ერთიანი და ლაღი საქართველოს შვილები ხართ, ჩვენი ლამაზი მიწა-წყლის შვილები.

არ დაგვიწყებოდეთ მამული. ისეთები ყოფილიყავით, კაცსაც სცოდნოდეს და ერსაც თქვენი ვინაობა.

გუთანი გერჩიოთ ხმალს...

თქვენც შეგეტანოთ წვლილი დედა-სამშობლოს შემდგომ წინსვლაში!..

მრავალ ახალ წელს დაესწარით!

ლია ელიავა,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

ა ხ ა ლ ი წელიწადი ეს-ეს არის შემობრძანდა და უკვე მძლავრად, კეთილად დაბიჯებს ჩემს მიწაზე.

საახალწლო დღეები ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დროა ადამიანის ცხოვრებაში. ამ დროს ახალი იმედები გესახება და კიდეც გჯერა, რომ სურვილები წლეულს უთუოდ შეგისრულდება.

ამ ბედნიერ დღეებში ადამიანს ძველი გულისტკივილიც გაგახსენდება, უნებლიეთ ჩაგაფიქრებს და გარდასული დროის ფიქრებში გაგხვევს.

ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ რა აღარ გადამხდენია.

სამამულო ომი დაიწყო და ფაშისტებს ვებრძოდი. ქერჩში ტყვედ ჩავვარდი და საკონცენტრაციო ბანაკებში ვიტანჯებოდი. გერმანელები ატლანტიკის სანაპიროებზე მძიმე ჯაფითა და შიმშილით სულს გვხდიდნენ. მოკავშირეებმა ომის დასასრულს, 1945 წლის გაზაფხულზე გაგვათავისუფლეს და ამის შემდეგ დაიწყო ჩემი უცხო ქვეყნებში ხეტიალი. ოთხი წელიწადი საფრანგეთში ვიცხოვრე, მერე, ეგეც პირობები გავუმჯობესო-მეთქი, არგენტინაში ჩავედი. წელიწადს წელიწადი გაჰყვა. დღითიდღე ვრწმუნდებოდი, რომ „უცხოობაში რაა სიამე“. უცხო ქვეყნებში მე და ჩემს ბედში მყოფი ქართველები სხვა ტომის ხალხად, უსამშობლოებად ვიწოდებოდით. ჩვენთვის არავის შესტკივოდა გული, არავის ვჭირდებოდით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ყოველ ახალ




წელიწადს გულში სმამაღლა ვამბობდით: შემდეგ ახალ წელიწადს სამშობლოში შევხვედროდეთო.

ამასობაში თხუთმეტი წელიწადი მიიწურა. 1954 წელს არგენტინიდან ჩამოვედი და დავუბრუნდი ცოლ-შვილს, სანატრელ საქართველოს.

როგორც იყო, გული საგულეს ჩამიდგა. ეხლა რესპუბლიკური სამხატვრო გაფორმების კომბინატში ვმუშაობ, ჩემს მიწაზე დავდივარ, ჩემიანებში ვტრიალებ, ვარ ამ მიწა-წყლის სრულუფლებიანი შვილი.

ახალი წელიწადი დააბიჯებს და მახსენდებიან უცხოეთში დარჩენილი მეგობრები: ერასტი იაშვილი და გაბო გოგოლაშვილი, ბურდუღაძე და ბუაძე. გულწრფელად ვწუხვარ, რომ მათთვის ერთობ გაჭიანურდა სამშობლოში დაბრუნება. შევახსენებ ჩემს მეგობრებს მაშინდელ სადღეგრძელოს, შევსვამ და ვისურვებ, ახალ წელიწადს საქართველოში შეხვედროდნენ.

არჩილ ორჯონიკიძე



მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ უზეიმია ჩვენს ხალხს ახალ წელთან ერთად ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე გამარჯვებები. მაგრამ მრავალსაუკუნოვანი წარსულის მჭონე ქართველის ცხოვრებაში ყოფილა ისეთი დღეებიც, როცა ახალი წელი უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში შემოთენებია და დამარცხებულის ხვედრი და სინანულიც უნახავს. ასეთ მძიმე წუთებშიც ქართველ ხალხს არასოდეს დაუკარგავს მომავლის — ახალი წლის რწმენა; ყოველი ახალი წელი ახალი გამარჯვებების და წარმატებების სიმბოლოდ რჩებოდა.

უცხოელ თანამემამულეებს გუსურვებ ახალ წელს უფრო მეტი წარმატებები მოეკოვებინოთ ქართული ენისა და მწიგნობრობის, ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლის, კვლევისა და გავრცელების დიდ ეროვნულ საქმეში.

ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი მამულისა და ქართველი ხალხის შემოქმედებით ცხოვრებაში.

შოთა მესხია,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



ჩ ვ ე უ ლ ი რიხით შემოაბიჯა ახალმა, 1972 წელმა.

ახალი იმედებითა და სურვილებით ვეგებებით მას და ვთხოვთ 1972-ს იყოს ყველა წელიწადზე კეთილი და მშვიდობიანი, გულუხვი და ბარაქიანი, გონიერი და ღონიერი.

...და ისმის ჭიქების წკრიალი, მილოცვა და დალოცვა, „მრავალჟამიერი“ და „კუჩხა ბედინერი“. და ისმება სადღეგრძელოები სიცოცხლისა და მშვიდობისა, წინაპრების ხსოვნისა და შვილიშვილების ბედნიერებისა, კეთილ ნათესავ-მეგობრებისა და მეზობლების და მათიც, „ვისი გულიც ჩვენთან იყოს“...

განსაკუთრებული მღელვარებით ვიღებ ამ სახმისს და მივდევ გულის ძახილს... მინდა ჩემი ხმა მოგწვდეთ ყველას, სადაც უნდა იყოთ თქვენ — ყველას, ვისაც საქართველოს ხილვა დღე ნატვრად და ღამე სიზმრად გადაგქცევიათ, ვისაც ქართული სიტყვისა თუ ჰანგის მოსმენისას გული აგჩქროლებიათ და თვალზე ცრემლი მოგრევიათ!

იყოს მშვიდობა, სიხარული და ბედნიერება თქვენს ჭერქვეშ, თქვენს გულში!

* * *

ახალო წელო, სალამი შენდა!
ეს — მე გეძახი, ადგილის დედა,
მე — ნარიყალას ციხესთან მდგარი,
ქართველი ქალი.
დასაბამიდან მცველი ქართლისა,
მისი ფიქრისა, მისი ნათლისა,
მლოცველი მისთა უნისლო დღეთა,
მე — ქართლის დედა.
აჰა, ეს თასი, სავსე შარბათით!
დედა ვარ, თხოვნა ისმინე ჩემი:
გთხოვ, დამილოცო დედა-ქალაქი,
გთხოვ, დამილოცო სამშობლოს მკვიდრი!
მე დედა ვარ და ვარ „დედა-ენა“ ,
გთხოვ დამილოცო ჩემი ანბანი,
მე დედა ვარ და ვარ „დედა-მიწა“ —
მიწა მრავალჯერ სისხლით ნაბანი.
ვარ დედა-ბოძი — დალოცე სახლი,
მშვიდობამ მოხველ, წელო ახალო!
მიბედნიერე მშობელი ხალხი,
ქვეყნად სიცოცხლის ნერგი ახაროს!
დედა ვარ, განა მარტო ქართლისა? —
ქვეყანას სწვდება ფიქრები ჩემი...
მშვიდობით გეკლოს მაცნედ ნათლისად!
გთხოვ, დამილოცო სამყარო ვრცელი!
მშვიდობამ მოხველ, წელო ახალო!

მარიკა ბარათაშვილი

აწ და მარადის...




ქვეყანავ ჩვენო,
ხალხო მშობელო,
მომილოცია ახალი წელი.
სიცოცხლე გქონდეთ დაუშრობელი
ყველას —
მეკვლე ხარ თუ მასპინძელი!
ქვეყნად ახალი წლის მობრძანება
მოდით, პირველად მშობლებს ვახაროთ.
მათმა ხელებმა, მათმა თვალებმა
შვილებს მოგვიძღვნეს მთელი სამყარო.
მათი თვალები სულის სარკეა,
შუბლი შვილებზე ზრუნვამ დაღარა.
ბედნიერი ვართ, თუ არ გვაკლია
მამის ღიმილი, დედის ჭაღარა.
ახალ წელს ნურვინ დარჩება მარტოდ,
დავლოცოთ სავსე გულით და თასით
მეუღლე, რომლის თვალები გვათბობს
და ზოგჯერ კარგად არც ვიცით ფასი.
ცხოვრების გუთანს შევგმივართ წყვილად,
რომ დარჩეს ჩვენი ოჯახის კვალიც
და მარტო ვარდის?.. მის ხელებს ხშირად
ასდის სურნელი ჭინძის და კამის.
მომილოცია ახალი წელი
თბილისო, ჩვენო გულო და თვალო,
იბედნიერე,
საუკუნენი
მტკვრის ზვირთებივით
თვალო, ვერ თვალო.
მომილოცია!... ვბუბუნებ თქვენთვის...
ცხინვალს თუ სოხუმს
თვალდათვალ გხედავთ.
მომილოცია
ძველთაძველ მცხეთის,
ახალ რუსთავის
ადგილის დედავ!
ფოლადის მდნობელს
თუ ღამის მეხრეს,
ვისი სახელიც გაისმის ვაშად,
თუშ-ფშავ-ხევსურეთს,
ჯავახეთს, მესხეთს,
ხევს თუ მთიულეთს,
ლეჩხუმს თუ რაჭას...
ბათუმს,
ქუთაისს,
გორს,
ზუგდიდს,
თელავს,
სვანეთის მთებს თუ გურიის ქედებს...
როგორ ჩამოვთვლი ცალ-ცალკე ყველას,
მთელს საქართველოს—ჩვენს ზღაპრულ ედემს,
მთელს საქართველოს მარად და მარად
მის დიდ მომავალს, აწმყოს და წარსულს,
მთელს საქართველოს — ალმასის თვალად
თითქოს მსოფლიოს გვირგვინში ჩასმულს, —
გადასწვდეს ჩვენი ალალი სიტყვა,
დამიწდეს მტერი,
ამაღლდეს ჭერი,
დიდხანს გვიცოცხლოს, ვინც გულით გვიყვარს,
მტერს დაუჩლუნგდეს მახვილი მჭრელი.
დაე, წელს არვინ არ დარჩეს კენტად,
იყოს ქორწილი, ძეობა ხშირი
და თვით კოსმოსშიც, სხვა ძმებთან ერთად,
აფრინდეს ქართულ მიწა-წყლის შვილიც.
კეთილი ფიქრი გვესხმება ფრთებად,
გულს ეჭიდება სიტყვა თამადის:
ძმობა,
მშვიდობა
და სათნოება
სუფევდეს ქვეყნად აწ და მარადის!

იოსებ ნონეშვილი

საახალწლო მილოცვა

„ჰოი, მაგულო!“



მას შემდეგ, რაც პირველის ბერძნული თეატრი გვეწვია, მერვე წელია, მაგრამ დიმიტრისს რუნდირისის მიერ აღორძინებულ ძველბერძნული ტრაგედიებიდან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მეხსიერებაში.

განსაკუთრებით მახლობელი გახდა ჩვენთვის ამ თეატრის უპირველესი მსახიობი ასპაზია პაპატანასიუ, რომლის სახელი კარგად არის ცნობილი თეატრალური მსოფლიოსათვის.

მაშინ, 1964 წელს, ევრიპიდეს „მედეათი“ გაგვეცნო და „მედეათიმ“ დაგვიმშვიდობა ბერძნული ტრაგედიის თეატრი (წარმოდგენილი იყო აგრეთვე სოფოკლეს „ელექტრა“ და ესქილეს „ორესტეა“). იქნებ ეს „ხარკიც“ იყო და გამორჩეული პატივისცემაც საქართველოს მიმართ, სადაც უხსოვარი დროიდან არსებობს მითი ოქროს საწმისსა და გრძნეულ მედეაზე, მითი ბერძნებთან ზიარი და ბერძენი ტრაგიკოსის მიერვე უკვდავქმნილი, რომელშიც ზოგადკაცობრიულ სიმაღლეს მიწვდა უსამშობლოდ და უსაყვარულოდ, მეგობრისა და გამცითხავის გარეშე დარჩენილი ტანჯული კოლხი ქალის სახე, მისი ვაება.

„ოი, მამულო სახლ-კარო ჩემო,
ნურც მღირსებოდეს
ყოფნა უშენოდ, ობლად
შთენილსა.
რა უნდა იყოს უმძიმესი
ამგვარ ყოფაზე?
სიკვდილს ვარჩევდი, არარაობას,
ვიდრე ჩემს სახლ-კარს
მოშორებულს და
შორს გადახვეწილს მშობელ
ქვეყნიდან
წილად მხვდომოდა საწყლად
ცხოვრება“.

მოთქვამს და მოტირის უთვისტომოდ, უცირისუფლოდ შთენილი კოლხი ქალი 431 წლიდან (ჩვენს ერამდე), როცა პირველად დაიდგა „მედეა“...

ქართულ თეატრს ახსოვს თავისი სანაქებო მედეა — ნუცა ჩხეიძე... ორი საუკუნის — XIX-XX-ის მშვენება. ჩვენი დროის მსახიობთაგან ვერიკო ანჯაფარიძის წილხვედრი იყო ეს როლი. 1961 წელს ჩვენი სარეჟისორო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა არჩილ ჩხარტიშვილმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში დადგა ევრიპიდეს „მედეა“ (თარგმანი პანტელეიმონ ბერაძისა). წარმოდგენის ორიგინალურმა გადაწყვეტამ, შესრულების მაღალმხატვრულობამ (მედეა — ვერიკო ანჯაფარიძე, იაზონი — პიერ კობახიძე), ჭეშმარიტი სიხარული მოჰგვარა ხელოვნების ტრფიალთ.

ასპაზიამაც ნახა ის წარმოდგენა, მოიხიბლა; „მედეებმა“ გაიცვნეს ერთმანეთი; მაშინ დაიბადა აზრი ქართულ სცენაზე ასპაზიას მოწვევისა, რადგან ქართველმა მაყურებელმა იწამა და შეიყვარა მისი მედეაც, შეიცნო და შეიგრძნო მისი სული და სატკივარი. სამშობლოში დაბრუნებას ჰგავდა ასპაზიას მედეასთან შესვედრა. საქართველოდან წასვლისას მან წარიტანა ოქროს საწმისზე უმეტესი განძი — საყოველთაო აღიარება...

მერე იგი კიდევ უფრო დაგვიახლოვდა, როცა მედეას როლი გითამაშა ჩხარტიშვილისეულ დადგმაში; ეს იყო 1967 წელს. მისი იაზონი გახლდათ ედიშერ მაღალაშვილი. ბერძნულად მოუბარ მედეას ქართულად რომ ესიტყვებოდნენ, ოდნავადაც არ დარღვეულა ჰარმონია; ყოველ რეპლიკაზე ასპაზია-მედეა ისე კრთოდა და ინთებოდა, რომ ვეღარც გრძნობდით, თუ დიალოგი ორენოვანი იყო. ქართულ-ბერძნულის მაშინდელმა კეთილშეთანხმებამ მეათე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწის იოანე ზოსიმეს მიერ ქართული ენის ტრაქტატში გამოთქმული აზრი გამახსენა: „ქართული და ბერძნული ენები დეპია, როგორც მართა და მარიამიო“.

იმავ წელს პირველად ითამაშა ასპაზია პაპატანასიუმ მისი ერთერთი საოცნებო როლი, როლი ანტიგონესი, სოფოკლეს ამავე სახელწოდების ტრაგედიაში კიევის ფრანკოს სახელობის თეატრში, სადაც „ანტიგონე“ დადგა იმჟამად იქ მოღვაწე ფრიად დამსახურებულმა და სახელოვანმა რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ. ის გაზაფხული საბედისწერო აღმოჩნდა, მას აქეთ ბევრი რამ შეიცვალა: მის მშობლიურ ელადაში შავ პოლკოვნიკთა ხუნტა აღზევდა და ეს ამბები სწორედ საბჭოთა კავშირიდან გამგზავრებისას მოწვდა, გეზი უცვალა, რადგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთ მძლავრ წარმომადგენელს, იერიით სუსტს, მაგრამ ნებით მტკიცე და ჩინით მაიორ ქალს, ამ შემთხვევამ აღარ მისცა საფიცარ სამშობლოში დაბრუნების საშუალება...

თავისიანის გამოჩენასავით გაახარა ქართველი ინტელიგენცია 1971 წლის მიწურულში ასპაზიას ხელახლა ჩამობრძანებამ. მან წარმოადგინა კომპოზიციები ევრიპიდეს „ტროელი ქალებიდან“ და „მედეადან“, ესქილეს „აღამემნონიდან“, სოფოკლეს „ელექტრადან“ და „ანტიგონედან“. ამას შეემატა ეპიტაფია თანამემამულე პატრიოტი პოეტის იანის რიცოსის ლექსების ციკლიდან, რითაც თითქოს გააერთიანა ძველი და ახალი ელადის სატკივარი...

სამშობლოსა და მშობლიურ თეატრს დაშორებულმა, ისევ ძველბერძნულ ტრაგედიაში ჰპოვა თანაზიარობა სულისა და ერთი აქტიორის თეატრშიც გასაოცარი სისავსითა და სიღრმით წარმოგვისახა ჰეკუბას, კასანდრას, ელექტრას, ანტიგონეს, მედეას სცენური ხატებანი.

მის გარდასახვას, ამ მრავალსახეობას ისეთი ზეშთაგონება ახლდა, ისეთი „ფორტე“ და „პიანო“ მეტყველების მელოდიკაში, რომ თამამად ითქმის, მსახიობი საუკეთესო ფორმაშია — «In optima forma!».

ასპაზიას საქართველოში ყოფნას დაემთხვა კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმული „ანტიგონეს“ პრემიერა (თარგმანი დავით გაჩიჩილაძისა), რომელშიც მთავარ როლს ანსახიერებს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი სოფიკო ჭიაურელი (ასული ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელისა). დიმიტრი ალექსიძეს ადრევე ჰქონდა განზრახული ამ სპექტაკლში მიეწვია ასპაზია და ქართველმა ანტიგონემაც სულგრძელად დაუთმო ასპარეზი სტუმარს.

6 აპრილ-ღვლეს, 8-9 იანვარს, თბილისის საზოგადოებრიობა კვლავაც სიხარულით შეხვდა ქართული თეატრის სცენაზე ბერძენი ტრაგიკოსი ქალის გამოჩენას. მის მიერ ანტიგონეს განსახიერება ეხლა, სამშობლოდან შორს ყოფნისას, განსაკუთრებით სიმბოლური ჩანს. თუ გავიხსენებთ არისტოტელეს „პოეტიკის“ წყალობით შემონახულ ფორმულას, თითქოს სოფოკლეს სიტყვებით იგი ასახავს ადამიანებს, როგორებიც უნდა იყვნენ ისინი, ხოლო ევრიპიდე — როგორებიც არიანო ისინი, მაშინ კიდევ უფრო გასხივოსნდება ის სამაგალითო თავდადება, რითაც გამოირჩევა ანტიგონეს სახე და რასაც ეს სულისშემძვრელად განგვაცდევინებს ანტიგონე-ასპაზია ჭართველ მსახიობებთან ერთად თავისი თავშეკავებული, მაგრამ სავსე გრძნობათაღელვით; ნაქანდაკევი პლასტიკით, ამაყი სულის ძახილით!

და ლტოლვილობაში ანტიგონეს ვარამს ერთვის მედეას ოხვრა: „ოი, მამულო!„.

ნანა ღვინეფაძე

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ანტიგონე“; ანტიგონე — ასპაზია პაპატანასიუ, ისმენე — თამილა ლასხიშვილი.



ჩემმა საყვარელმა ბალეტმა სადღა არ ჩამიყვანა — საფრანგეთში, იაპონიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, უნგრეთში, იუგოსლავიაში... ახალი ქვეყნები, ახალი ქალაქები, ახალი თეატრები, ახალი ადამიანები... ტაში, ყვავილები! მსახიობსაც სხვა რა აქვს წადილი?! სადაც უნდა ვყოფილიყავი, როგორი წარმატებაც უნდა მქონოდა, ყველგან და ყოველთვის ერთი უპირველესი და უმთავრესი წადილი მაინც არ მასვენებდა — მალე დავბრუნებოდი ჩემს თბილისს, ჩემს სოლოლაკს, ჩემს კერას, დედაჩემს, საყვარელი მამის და უძვირფასესი პაპის — ნიკო ჯანდიერის — საფლავებზე ჩვენებური ია თუ ვარდი დამედო...

ძვირფასო თანამემამულენო! ბედნიერებას გისურვებთ ყველას, დაუსრულებელ წარმატებასა და დიდ გამარჯვებას თქვენებულ ჩემს კოლეგებს — ხელოვნების უანგარო მსახურთ! არ დაგვიწყებოდეთ თბილისი, სამაისო ქუთაისი, მზიური აჭარა და გულუხვი სამეგრელო, დაუდეგარი ზესტაფონი თუ ჩემი მდორე გურჯაანი, გუდაუთი და მუხრანი, მოვლილი თუ მოუვლელი საფლავები მამა-პაპათა.

იცოცხლეთ, იბედნიერეთ!

ირინე ჯანდიერი,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ოცდაშვიდი წელიწადი აზიის ქვეყნებში

საქართველოს შორეული წარსულიდან ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან. ქართველ ვაჭრებს მოგზაურობისას მრავალი განსაცდელის გადალახვა უხდებოდათ. ამიტომ ვაჭარი ამავე დროს დიპლომატიც უნდა ყოფილიყო და მეომარიც, რათა ხიფათითა და განსაცდელით აღსავსე მოგზაურობა წარმატებით დაეძლია.

წლიდან წლამდე ყალიბდებოდა საქართველოში უცხოეთთან მოვაჭრე გვარეულობანი. ერთ-ერთ ასეთ გვარს ეკუთვნოდა მეთვრამეტე საუკუნის დამლევისა და მეცხრამეტის დამდეგის შესანიშნავი ქართველი მოგზაური და დიპლომატი რაფიელ დანიბეგაშვილი, რომელმაც ოცდაშვიდი წელიწადი დაჰყო აზიის ქვეყნებში. მან შემოიარა თურქეთი, ომანი, ინდოეთი, ირანი, ბირმა, დასავლეთი ჩინეთი, ციმბირი. ამ ხანგრძლივი მოგზაურობის ამბები აღწერილია მის „რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და აზიის ქვეყნებში“.

ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი პირველად 1815 წელს დაიბეჭდა მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის იოანე დავიდუბსკის რედაქტორობით, შემდეგ — თბილისში სოლომონ მირდანიშვილის რედაქციით ქარ-ლად 1950 წელს, მესამედ — მოსკოვში 1961 წელს გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ვლადან მარუაშვილის რედაქტორობით, კომენტარებით, ბიბლიოგრაფიითა და საარქივო საბუთების გათვალისწინებით. 1963 წელს თბილისში გამოვიდა ამ წიგნის შესანიშნავად გაფორმებული გამოცემა; 1969 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „პროგრესში“ დაიბეჭდა წიგნის ახალი შევსებული და შესწორებული გამოცემა რუსულ, ჰინდის და ინგლისურ ენებზე (პასუხისმგებელი რედაქტორი აკადემიკოსი თეიმურაზ დავითაია; ნარკვევი, კომენტარები და ბიბლიოგრაფია — ვლადან მარუაშვილისა, ჰინდის ენაზე მთარგმნელი რაჯ ბალაშსი ოჯახა; ინგლისურ ენაზე — დ. სკვირსკი). წიგნის ამ ახალი გამოცემის მომზადება მოეწყო ამას წინათ მოსკოვში საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების მოსკოვის ფილიალში.

ერთხმად აღინიშნა ამ გამოცემის დიდი მნიშვნელობა. რედაქტორის ფრიად ღირებული კვლევის შედეგად გამოვლინდა ბევრი ისეთი ცნობა, რომელიც დამატებით ჰფენს შუქს ამ შესანიშნავი ქართველი მოგზაურისა და დიპლომატის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სათანადოდ არის შეფასებული მოგზაურის ადგილი გეოგრაფიის ისტორიაში, ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა რაფიელ დანიბეგაშვილმა აზიის ქვეყნების შესწავლის საქმეში. ამ მოგზაურობათა აღწერა თანართული დოკუმენტებით რაფიელ დანიბეგაშვილის პიროვნებას ახასიათებს როგორც კეთილშობილ ირ დიპლომატს, მამაც მოგზაურსა და მეცნიერს დიპლომატს, საქართველოს რუსეთთან და აღმოსავლეთის ხალხებთან დაახლოების მომხრეს. მისი ჩანაწერები შეიცავს მრავალფეროვნული ხასიათის უამრავ ცნობას ინდოეთის, შუა და ახლო აზიის ქვეყნების შესახებ, ეთნოგრაფიულ ცნობებს იქ მცხოვრები ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე, აგრეთვე ძვირფასი მასალაა ამ ხალხების ისტორიის შესწავლისათვის. რაფიელ დანიბეგაშვილი არ მალავს თავის თანაგრძნობას ინდოელი ხალხისადმი იმ სამართლიან ომში, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

დასასრულ გვინდა წერილი დავასრულოთ ლეონან მარუაშვილის სიტყვებით: „გამომცემლობა „პროგრესს“ ამ წიგნის გამოცემით შეუძლია დაეკმაყოფილებინა მკითხველი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ნაკარნახევი წვლილი საქართველოს ადამიანთა კულტურული ურთიერთობის საქმეში“.

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

გამოიცა ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი

დიდი შრომა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ შეუდგა XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი ლექსიკოლოგისა და გრამატიკოსის ნიკო ჩუბინაშვილის (1788-1845) ორტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემას. ეს შრომა შედგენილი 1812-1832 წლების შუალედში, ხელნაწერად დარჩა და ფართო საზოგადოებრიობისათვის დღემდე უცნობი იყო. ლექსიკონი ასახავს პუშკინამდელ რუსულ ლექსიკას და ეურდნობა უმდიდრეს პირველწყაროებს როგორც რუსულ, ისე ქართულ ნაწილში.

ნიკო ჩუბინაშვილის ეს ნაშრომი რუსულ-ქართული ისტორიული ლექსიკოგრაფიის ძვირფასი შენაძენია, სამაგიდო წიგნია.

ამ დღეებში გამოვიდა ლექსიკონის პირველი ტომი პროფესორ ალექსანდრე ღლონტის რედაქციითა და შესავალი წერილით (რედაქტორი პროფესორი დომიტრი მგელაძე).

მივიწყებული განძის სამზეოზე გამოტანით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ უთუოდ დიდი საშვილიშვილო საქმე გააკეთა. პოლიგრაფიულად წიგნი კარგად არის გამოცემული.

ნიკო ჩუბინაშვილის ასევე ხელნაწერად დარჩენილი პირველი კაპიტალური ნაშრომი — „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ „საბჭოთა საქართველომ“ 1961 წელს გამოსცა პროფესორ ალექსანდრე ღლონტისვე რედაქციითა და გამოკვლევით. გამოცემამ სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

რუსულ-ქართული ლექსიკონის II ტომით (რომელიც ამჟამად წარმოებაშია) დამთავრდება ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის გამოცემა.

მეცნიერის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ვარლამ თოფურიას დაბადების 70 წლისთავი. უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ.

გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა შოთა ძიძიგურმა. სიტყვითა და მოგონებით გამოვიდნენ აკადემიკოსები აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჯიბლაძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვები. აღინიშნა, რომ ვარლამ თოფურიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საენათმეცნიერო აზროვნების განვითარებაში, მისი თაოსნობითა და მონაწილეობით დამუშავდა და გადაწყდა ქართული ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და მორფოლოგიის ბევრი აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხი. წარმატებით იკვლევდა მთის კავკასიურ ენებს. ეწეოდა დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მეცნიერის ხსოვნის საღამოს მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ფირზე ჩაწერილი ვარლამ თოფურიას მოგონება ქართული უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.



მუსიკალური ლექსიკონი

ახალ ლექსიკონში განმარტებულია ნაკლებად ცნობილი მუსიკალური ტერმინები, დიდი ფორმის ზოგიერთი ნაწარმოების სახელწოდებანი.

ასეთი ლექსიკონი პირველად გამოდის. მისი შედგენის იდეა ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს ალისა ყიფშიძეს, რომელიც უცხოურ-რუსული ნაწილის ავტორია. ქართული ნაწილი შეასრულა პროფესორმა გრიგოლ ჩხეიძემ.

„ჭინჭრაქა“ პრაღის თეატრის სცენაზე

პრაღაში გაიმართა საბავშვო თეატრების მოღვაწეთა მსოფლიო ასოციაციის სესია. მასში მონაწილეობდნენ რუმინეთის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, ესპანეთის, კანადისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საბავშვო თეატრების წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკიდან სესიაზე მონაწილეობისათვის წარგზავნილი იყო მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი თენგიზ მალალაშვილი.

ჩეხოსლოვაკიაში ქართველი რეჟისორის ვიზიტმა სასიამოვნო ნაყოფი გამოიღო: დაიდო ხელშეკრულება თბილისისა და პრაღის თეატრებს შორის, რომელიც ითვალისწინებს პიესების, რეჟისორების, თეატრალური მხატვრების გაცვლას. ამ შემოქმედებითი მეგობრობის კვალიც დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პრაღის ირჟი ვოლკერის სახელობის საბავშვო თეატრმა ხელი მოჰკიდა გიგა ნახუცრიშვილის პიესის „ჭინჭრაქას“ დადგმას.

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

სანამ ამ წერილის დაწერას გადავწყვეტდი, ბევრი ვებრძოლე თავს. იმიტომ კი არა, რომ თქვენი დახმარების იმედი არა მქონდა, — არა, მე ბევრი გამიგია თქვენი გაზეთის კეთილი საქმეების შესახებ... არამედ იმიტომ, რომ არ ვიცი, ამდენი დუმილის შემდეგ სიხარულს მივუტანთ თუ ტკივილს მივაყენებ ამქვეყნად ყველაზე საყვარელ ადამიანს, რომელსაც სახელად დედა ჰქვია...

და მაინც გადავწყვიტე, თუ ცოცხალია და არის სადმე, იცოდეს, რომ წლებმა ვერ გაანელეს სიყვარული ჩვენს გულში, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ველოდებოდით მისი ხმის გაგონებას შვილები — ქრისტინე, თამარი და ნადია ჩოჩიებრ...

ჩვენი ოჯახის ისტორია საკმაოდ ტრაგიკულია.

მამაჩემი, ევტიხი ჩოჩია, 1926 წელს სასწავლებლად წახულა საფრანგეთში. მოხდა ისე, რომ შემდეგ დიდხანს დარჩა იქ. საფრანგეთში გაიცნო დედაჩემი — უორუეტ სუზანა ბერლე. 1943 წელს ბეზანსონში შეეძინათ უფროსი ქალიშვილი — ქრისტინე (ქრისტინე კელერ უორუეტი, როგორც დაბადების მოწმობაში უწერია), ხოლო 1937 და 1938 წლებში ეგზინკურში დავიბადეთ მე და ნადია.

ზუსტად არ მახსოვს, სად მუშაობდა მამა — ჩვენი დაბადების მოწმობიდან ირკვევა, რომ იგი რომელიღაც ქარხნის მუშა იყო და ცხოვრობდა დუბის (თუ დუბოის) დეპარტამენტში, დაბა ეგზინკურში, ახლის ქუჩაზე. არც ის ვიცი, რატომ მოუვიდათ მშობლებს უსიამოვნება. მახსოვს მხოლოდ, რომ დედა ჩვენგან წავიდა. მამას ცხადია, არ შეეძლო ჩვენი მოვლა და პაპასთან და ბებიასთან მიგვიყვანა, მაგრამ ბებიამ (იგი დედაჩემის დედინაცვალი იყო), უარი თქვა ჩვენს შენახვაზე, მხოლოდ უფროსი დის დატოვება მოინდომა თავისთან. მამამ არ მოისურვა ერთმანეთს დავშორებინეთ დები და რომელიღაც პანსიონატში მიგვაბარა. არ მახსოვს, რომელ წელს მოხდა (მაგრამ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული), ან პანსიონი რომელ ქალაქში მდებარეობდა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ პანსიონი ახალი აშენებული იყო და მე და ჩემი დები, კიდევ ერთი ბიჭუნაც, ჩვენზე ოდნავ უფროსი, მისი პირველი აღსაზრდელები გავხდით.

როგორც კი სამშობლოში დაბრუნების გზა გაგვეხსნა, მამამ საქართველოში წამოგვიყვანა. ეს 1946 წლის დეკემბერში მოხდა. წამოსვლამდე დედა მოვინახულეთ. დედა მწარედ ტიროდა, ეძებელებოდა ჩვენთან განშორება.

არ ვიცი, რა დანაშაული მიუძღოდა დედას მამის წინაშე. მამას არასოდეს არაფერი ცუდი არ უთქვამს დედაზე, საერთოდ, არც იგონებდა და ჩვენც, შვილებსაც გვიკრძალავდა მის გახსენებას, ცდილობდა, დაგვივიწყებინა დედა. მაგრამ ვერც ერთმა შვილმა ვერ შეძელით ეს...

დღეს მამა ცოცხალი აღარ არის. იქნებ დედა მაინც იყოს სადმე. მე შვილების დედა ვარ და წარმომიდგენია, რას ნიშნავს გულიდან მოიწყვიტო პირმშო...


ამდენი წლების შემდეგ ძნელია გაამართლო ან გაამტყუნო ადამიანი, მით უფრო, საკუთარი მშობელი. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ გავასამართლოთ დედა და რაიმე პრეტენზია წავუყენოთ. რაც იყო, იყო. მთავარია, ცოცხალი იყოს. ჩვენ მას დიდი სიხარულით ჩავიკრავთ გულში, არც ერთი სიტყვით არ გავახსენებთ წარსულს და ხელმეორედ დაბადებულად ჩავთვლით თავს...

ძვირფასო რედაქციავ, ვიცი, თქვენს გაზეთს ბევრი მკითხველი ჰყავს საფრანგეთში. იქნებ მათ შორის ვინმე იცნობდეს ჩემს დედას, უორუეტ სუზანა ბერლეს. იგი დაბადებულია 1914 წელს, ტეოშ ლე შასელში. ჰყავდა მამა, დედინაცვალი, ძმები.

ამასთანავე გიგზავნით დედისა და მამის სურათებს. ორივე სურათი გადაღებულია საფრანგეთში.

პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ თქვენ და თქვენს მკითხველებს, დაგვეხმაროთ, გვპოვნინოთ დედა. ეს იქნება ყველაზე დიდი სიხარული ჩვენს ცხოვრებაში.

ქრისტინესა და ნადიას დავალებით —
თამარ ჩოჩია-გელაშვილი.





სურათზე: ევტიხი ჩოჩია, უორუეტ სუზანა ბერლე.

პარკუჭანა

ბოლგიანი ტროლეიბუსი თოვლიან ქუჩებზე მისრიალებს და ფანჯარასთან ჩამოკიდებულ პარკუჭანას აქეთ-იქით აკონწიალებს. კონდუქტორი იმედს არ კარგავს, ან ახლა მოიკითხავს პატრონი, ან ახლაო. მაგრამ ამაოდ.

დასრიალებს ტროლეიბუსი და კონწიალობს საახალწლო ცისფერი პარკუჭანა.

— ვის დარჩენია ნეტავ? — წუხან მგზავრები პარკუჭანას დანახვაზე.

— ვისია და ერთი ლოყაწითელი გოგონასი... თეთრი თბილი ქუდი ჰხურავს და თეთრი ხელთათმანები აცვია! — დაუზარებლად იმეორებს კონდუქტორი, იქნებ ვინმემ ინიშნოსო გულმავიწყი მგზავრი. მაგრამ დიდია ჩვენი ქალაქი, თეთრქუდა და თეთრხელთათმანიან გოგონებსაც ხომ თვლა არა აქვთ...

მისრიალებს ზოლებიანი ტროლეიბუსი, ადიან და ჩადიან მგზავრები, პარკუჭანა კი კონწიალობს და კონწიალობს...

ერთ გაჩერებაზე წინა ბაქნიდან წითელქუდა მანანა ამოხტა და სანამ დედა ამოჰყვებოდა, კიდეც ჩამოსკუპდა სკამზე. ჩამოსკუპდა, მაგრამ ვერ მოისვენა — ხან იქით მიტრიალდა, ხან აქეთ მოტრიალდა, პარკუჭანას თვალი მოჰკრა და ისევ წამოხტა.

— დედიკო, აი ის მინდა! — მანანამ თითი პარკუჭანას სკენ გაიშვირა.

— ის ხომ შენი არ არის! — დედამ გოგონა სკამზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— მე მინდა ჩემი იყოს! — წამოხტა მანანა და კონწიალა პარკუჭანას თვალი ვეღარ მოაშორა...

კონდუქტორმა პარკუჭანა ჩამოხსნა და მანანასთან მივიდა

— რა გქვია, პატარავ?

— მანანა!

— ჰო, მანანა! სულ გადამავიწყდა, აი ეს პარკუჭანა ერთმა შენოდენა გოგონამ დამიტოვა, მანანას გადაეცი და ჩემს მაგივრად ახალი წელიწადი მიულოცეო...

— ნანიკომ? — წამოხტა გოგონა.

— ჰო, ნანიკომ!

მანანამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ერთი დიდი ფორთოხალი ამოაძვრინა.

— აი ეს ფორთოხალი კი ლიას მიეცით, იცით, რა კარგი გოგოა! ისიც ჩვენი დობილია, — უთხრა მანანამ კონდუქტორს და ფორთოხალი გაუწოდა.

ქეთევან ჭილაშვილი

ყალიონი

ღამით ისე ბარდნიდა, რომ მეორე დილით თოვლი მუხლამდე იდო. უბნის გოგო-ბიჭები გარეთ გამოშალნენ. იცივდა, იგუნდავეს და თოვლის პაპის გაკეთებას შეუდგნენ.

— კარგია, მაგრამ ვის გაუგონია ტიტველი პაპა? უნდა შევმოსოთ, — თქვა სანდრომ.

გოგო-ბიჭები აქეთ-იქით გაიფანტნენ და მალე ძველმანებით დაბრუნდნენ, ჩააცვეს, დაახურეს თოვლის პაპას, იღლიაშიც დიდი კეტი ამოუდეს და იფიქრეს, მეტი აღარა უნდა რაო.

— ყალიონიღა აკლია, — შენიშნა გიამ.

ყალიონი? აბა სად უნდა ვიშოვოთ? — ჩაფიქრდა ყველა.

— რა ძნელი საშოვარი ეგ არის! — წამოიძახა ნუგზარმა და პატარა გოგონას მიუბრუნდა:

— შენს პაპას ხომ აქვს, მაია. წადი და მოიტანე!

— პაპა არ მომცემს. ერთხელ დავკარგე და სანამ იპოვიდა, თავისი დაემართა.

— ჩუმად წამოიღე! — ურჩია გიამ.

მაიას ჭკუაში დაუჯდა გიას სიტყვა და შინისკენ მოკურცხლა.

საქმე სწორედ კარგად აეწყო. პაპა გარეთ შემას აპობდა, ყალიონი კი მაგიდაზე საფერფლეზე იდო. მივიდა მაია და ხელი წაატანა, მაგრამ აღება ვეღარ გაბედა. გიამ რომ უთხრა — ჩუმად წამოიღეო, თითქოს ეადვილა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაუძნელდა. რა ექნა, არ იცოდა, აღებას ვერ ახერხებდა და გოგო-ბიჭებთანაც ხელცარიელი წასვლა არ უნდოდა.

მოდი, ვეტყვი, იქნებ მომცეს! გაიფიქრა გოგონამ და პაპასთან მიიჭრა.

— პაპა, ჩვენი სახლის უკან დიდი თოვლის პაპა დავდგით და... შენი ყალიონი მინდა წაუღო.

— ერთი ყალიონი მაქვს, შვილო, ისიც რომ თოვლის პაპას წაუღო მე რაღა დამრჩება?

— რომ შეგპირდი, — ტირილი მოერია მაიას.

— ნუ გეშინია, სხვა ყალიონს გიშოვი, შენ მხოლოდ სხვენზე ასტა და პატარა ბროწეულები ჩამოიტანე.

მაიამ სხვენიდან სამი პატარა ბროწეული ჩამოიტანა, პაპამ ერთი ყველაზე ლამაზი ბროწეული შეარჩია, შემდეგ ჯიბის დანით ფიჩხებიდან ჯოხი გამოჭრა, ბროწეული ზედ წამოაცვა და მაიას გაუწოდა.

— აჰა, ყალიონია და ყალიონი! ჩემს პატარაობაში ესე ვაკეთებდით ხოლმე!

როცა მაიამ ყალიონი მიურბენინა, ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს. თვალში არ მოუვიდათ, მაგრამ თოვლის პაპას მაინც გაუკეთეს.

თოვლის პაპას გაბერილი ლოყები ჰქონდა, და ბროწეულის ყალიონი დაჰშვენდა, კაცს ეგონებოდა, ყალიონს თვითონ პაპა აღვივებსო.

ნინო ბეზარაშვილი

საახალწლო სურვილები

რა ვინატრო, რა ვისურვო —
მე სიკეთის მუდამ მდომმა?
ჩვენს სამშობლოს დაევიწყოს,
რაც ზარალი მოგვცა ომმა.
ჩვენს მოწმენდილ მაღალ ზეცას
არ მოაკლდეს სინარნარე,
რომ ბარაქა და სიუხვე
მარად ჰქონდეს მშობელ მხარეს.
არ მოაკლდეს ბეღლებს ხვავი,
ბაღებს ხილი ულეველი,
ვენახებმა მოიარონ
გადაშლილი მინდორ-ველი.
ყველა ბავშვი, ქალი, ვაჟი,
ახალგაზრდა და ხნიერი,
ყველა იყოს კმაყოფილი,
ჯანმრთელი და ბედნიერი
გაიზარდონ, გაიხარონ
მთელ მსოფლიოს პატარებმა,
ყოველ დედას ამშვენებდეს
ღიმილი და ნეტარება.

მარიჯან

ჩვენო პატარა თანამემამულენო!

გილოცავთ ახალი, 1972 წლის დადგომას! დამ, ბედნიერება და სიხარული მოეტანოს მას თქვენთვის.

გისურვებთ გაიზარდოთ გამულის სახელოვანი შვილები, გიყვარდეთ დედის რჩევით ტკბილი სამშობლო, თქვენი ერი, მისი კულტურა, მისი ისტორია, ენაც და მოგავალი.

ჩვენო პატარა მკითხველებო, მიიღეთ ჩვენი საახალწლო ნობათი — თქვენთვის სიყვარულით დაწერილი ლექსები, მოთხრობები, გამოცანები.



აბა გამოიცანით:

ხის ტოტებზე ცოცავს, დახტის,
მას უსაქმოდ ვინ ნახავს?
თხილს და კაკალს მოაგროვებს,
ზამთრისათვის ინახავს.

მერი ლალიძე

აცანცალა, მაცანცალა
კომბოსტოსაგან სულ
გაგეცალა.

ალექსი საჩინოელი

საქათმეში მძრომელია,
გამოიცან, რომელია!

ხალხური

სიმღერა ნაძვისხეზე

დათუნები,
კატუნები
და ღრუტუნა გოჭები...
კამფეტებიც გამოგისხამს
მოხატული ფოჩებით.
გამარჯობა, სიცოცხლის ხევ!
საახალწლო ნაძვისხევ!
ვიცით, ძლევით რად მოსულხარ
და ღიმილით რად გვიცქერ!
ტყის ჩიტებმა მოგახარეს
ალბათ ჩვენი „ხუთები“,
წამოსულხარ შორი მხრიდან
და სულ ღიმილს უნდები...
დათუნები,
კატუნები,
შაქრის თეთრი ჩიტები...
მრავალ ახალ წელს გვპირდები?
ჩვენც სულ „ხუთებს“ გპირდებით!
მაშ გაისმაც ბევრის-ბევრი
საჩუქარი გაგვიწყეს...
გამარჯობა, სიცოცხლის ხევ,
საახალწლო ნაძვისხევ!

მურმან ლებანიძე

ნათია ლამაზ სოფელში ცხოვრობს.

ჰოდა, სწორედ ამ სოფელში დიდი თოვლი და ახალი წელიწადი ერთად მოვიდა.

ნათიას პაპას დიდი თოვლისა არ შეშინებია, ადგა და ტყეში წავიდა. ნათია ელოდა, ელოდა პაპას, მერე ბუხართან მიწვა და ტკბილად მიეძინა. მაგრამ ძილში ვიღაცის კვნესა მოესმა. გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა და რას ხედავს, კუთხეში პაპას ნაძვი მიუდგამს, თვითონ ტახტზე წევს და დევივით ფშვინავს.

— შენ ტირი?... — ნათიამ ფრთხილად შეახო ხელი წიწვებზე ნაძვს.

ნაძვმა ტოტები შეარხია და ისევ აზლუქუნდა. ნათია დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. ჯერ პაპასთან მივიდა, ოდნავ შეანჯღრია, მაგრამ დაღლილმა პაპამ მხოლოდ გვერდი იცვალა. მერე ისევ ნაძვს მიუბრუნდა, იფიქრა — სცივაო და ბუხართან მიიტანა.

— იჰ, ქარბუქში გამოზრდილს სითბო რად მინდა, მე ჩემი დედა მინდა, ტყეში მინდა!.. — ტიროდა ნაძვი...

— დედასთან გინდა? შე საწყალო, ნუ ტირი, ეხლავე წაგიყვან... — შეეცოდა გოგოს ხე და დატრიალდა. დიდედისეული თავშალი სწრაფად შემოიხვია. ნაძვი ეზოში გაიტანა, პაპის გაკეთებულ თხილამურებზე შედგა და ტყეში დაქნილ გზისკენ გასწია.

მთვარის ვერცხლისებრ შუქზე თოვლი ბროლივით ციმციმებდა. ყინვამ ნათიას სახე აუწვა, თითები გაუთოშა და ქარმა ნაძვი ერთიორად დაამძიმა.

მაგრამ სიკეთე ვის დაჰკარგვია ქვეყნად?

ყინვამ სუსხი უბეში შეინახა, ქარმა ფრთები დაიმოკლა, თოვლმა ზურგი ვაიმაგრა. სად იყო და სად არა, ნათიას ბაჰია წამოუხტა და წინ ჩაუცუცქდა.

— ნათიავ, მომყე, ნურაფრისა გეშინია, — უთხრა და სკუპ-სკუპით წინ გაუძღვა.

ეხლა ბუნაგიდან დათუნია დრუნჩა გამოგორდა. ნათიას თავი დაბლა დაუკრა და, ნაძვს წავიღებო, უთხრა.

მელაც გამობრძანდა სოროდან. ჯერ ხეებს ამოფარებული ჭურდულად უთვალთვალებდა მგზავრებს, მერე გათამამდა და ისიც უკან გაჰყვა.

თოვლით დაბარდნილ ტოტებსა და ბუჩქებში მიიკვლევდა ნათია გზას, წინ მეგობრები მიუძღოდნენ. უეცრად რაღაც ხმაური გაისმა. ნათია შეჩერდა და ყური მიუგდო.

— ამ შუაღამისას ჩვენს სამფლობელოში ვინ შემობედა!...

— გაჰკიოდა ჭოტი.

— ჩემი არ გეშინიათ?! — ღმუოდა მგელი.

ტყის ხმაურმა ისე შეაშინა ნათია, აღარ იცოდა, საით წასულიყო. მაგრამ აქაც ბაჭიამ უშველა.

ბროლის სიგა

— ჩვენი მოკეთეა, ნათლიებო! — გასძახა ტყეს, თან ნათიას ანიშნა, მომყეო.

შუა ტყეში დედანაძვი იდგა, ტოტებს კენწეროზე იცემდა და მოსთქვამდა. უეცრად შეჩერდა და ნათიას დააცქერდა, ჯერ ეგონა, მეჩვენებაო, მაგრამ პატარა ნაძვი თვითონ გაეხმაურა დედას:

— დედი! მე ვარ, ვერ მიცანი?! — შესძახა ნაძვმა და ნათიას შეეხვეწა, დედასთან მიმიყვანეო.

ნათიამ ხე დედასთან მიიყვანა. დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ. გახარებული ნათია ხან დედას შეჰყურებდა, ხან შვილს.

— დათუნი, აბა, ერთი მომეშველე, ფეხზე დავაყენოთ პატარა ნაძვი, — უთხრა ნათიამ დრუნჩას.

— მოიცა, ნათიავ, ჭოტს წამალი ვთხოვოთ, თორემ ისე ჭრილობა არ მოუშუშდება.

— მოვდივარ, მოვდივარ! — ჩანთა მოიმარჯვა ჭოტმა და პირდაპირ ხის ძირას დაეშვა.

დრუნჩამ მალამოს გასაკეთებლად გეჯით თაფლი მოიტანა, კოდალამ ხის დახვეული ქერქი გადმოაფრინა, ზღარბმა ნემსი მოიმარჯვა და საქმეს შეუდგნენ.

დრუნჩამ ნაძვი გულზე მიიკრა, ჭოტმა და ნათიამ ჭრილობაზე მალამო წასცხეს და ციმციმ შემოდგეს თავის ფესვებზე. მერე გოგონამ კოდალას მიწოდებული ხის ქერქი ზემოდან შემოახვია და თხუნელას დაუძახა, მომეშველეო. ისიც გულმოდგინედ ამუშავდა და ფესვებს მიწა მიაყარა.

— დაგიამდა ფესვები? — შესცინა ნათიამ ნაძვს.

— დედას გეფიცები, აღარაფერი აღარა მტკივა, — ტოტები გაშალა ნაძვმა და ნათიას შემოახვია. — აბა, რით გადაგიხადო სიკეთე.

— ნათიას უპატივცემულოდ ნუ გაუშვებთ! — ახმაურდა ტყე.

— ნუ შეწუხდებით! — ხელები გაასავსა ნათიამ.

— ეს ჩვენგან, — ბუთქუნა კუდი აიფარა სახეზე ციყვმა, ხმელი ნიყვი და ჩირი ჩამოარბენინა თავისი ფუღუროდან.

— ეს ჩემგან, — მაჟალო და ჩამავებული პანტა ამოზიდა ზურგით ზღარბმა.

— რა ვქნა, მოუხარშავ ქათამს არ მიირთმევ, თორემ... — გაინაზა მელა და თავსაფარი შეისწორა.

— მეხი კი დაგაყარე, ვის რად უნდა შენი ნაქურდალი!.. — შეუტია დრუნჩამ და ნათიას თაფლი მიართვა:

— აჰა, პაპას წაუღე, საახალწლო გოზინაყი და ალვასაზი მოგისარშონ!


— გეთაყვა, თქვენი ჭირიმე, როგორ წავიღო ამდენი რამე... თანაც, საცაა მთვარე ჩავა და გზას ვეღარ გავიგნებ.

— ეგ ხუ გედარდება, ჩემო ნათია! ჩემი სხივებით ციგას დაგიწყობ, შიგ ჩაგაბრძანებ და შენს ეზოში შეგასრიალებ, — გაიბადრა მთვარე და ვერცხლისფერი სხივებით კრიალა ბროლის ციგა დაუშვა.

ნათია მეგობრებს გამომშვიდობა და ბროლის ციგით გასრიალდა შინისაკენ.

დოდო ვადაჭკორია

კოტე კაიშაური



საბჭოთა კავშირის სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჭაბუკ მოჭადრაკეთა პირველ ჩემპიონატში სხვებთან ერთად გამოდიოდა შვეიცარიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე კონსტანტინე კაიშაური. რედაქციის სახელზე მოსულ წერილებში, თბილისელი ჭადრაკის მოყვარულები გვთხოვენ დაწვრილებით მოვუთხროთ ნორჩი მოჭადრაკის ცხოვრებაზე, რომელი ქალაქის მკვიდრია იგი, ვინ არიან მისი მშობლები, როგორ სწავლობს, იცის თუ არა ქართული ენა, რა ასაკში ეზიარა ჭადრაკს და სხვა.

ჭადრაკის ცნობილი მიმომხილველი თენგიზ გიორგაძე ეწვია კოტეს მამას — გიორგი კაიშაურს, რომელიც თბილისში ცხოვრობს და ესაუბრა.

— ვინც გაიგებს, რომ კოტეს მამა ვარ, მაშინვე მკითხავს, როგორ მოხვდა თქვენი ვაჟი შვეიცარიაში? გასაგებია ადამიანური ცნობისმოყვარეობა, — გვითხრა ღიმილით გიორგიმ და წუთით დადუმდა. — კოტე ჩემი უმცროსი ვაჟია. თბილისში დაიბადა 1952 წელს. პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. მე-2 კლასში რომ გადავიდა, 1960 წელს, დედამისმა პოლონეთში წაიყვანა. საქმე ის არის, რომ ჩემი მეუღლე ხანგა პოლონელი გახლავთ, თბილისში შევირთე სამხედრო ომის მიწურულს. ევაკუირებული იყო ვარშავიდან. კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ხანგას ნოსტალგია მოეძალა, სამშობლოსკენ მიუწევდა გული. ქალი თვალსა და ხელს შუა მეცლებოდა. რა მექნა? თავად ვერ შევეილიე თბილისს, მეუღლე კი გავუშვი თავის სამშობლოში. მართალია, პოლონეთში მას დედ-მამა აღარ ჰყავდა. ჰიტლერელებმა დაუხოცეს, მაგრამ მშობლიური მიწა უხმობდა. გამიგეთ ალბათ, პატარა კოტეს წაყვანაზე უარი ვერ ვუთხარი. მით უმეტეს, უფროსი ქალ-ვაჟი, პირველი ქორწინებიდან რომ მყავს, ჩემთან რჩებოდნენ. დედა-შვილი ვარშავაში დასახლდა.

— კოტე საქართველოს ბოლო დროს 1967 წელს ესტუმრა, — განაგრძო მასპინძელმა. — მთხოვა, კვლავ ვეწვიოთ ფასანაურს, კაიშაური და კაიშაურის დიდი ველი გავიაროთ, არაგვზე გადავიდეთ და ქვეშეთში ჩავიდეთო. ამ გზით გავატარე პოლონეთში გამგზავრებამდე, რათა პატარას გულში სამუდამო ჩარჩენოდა მშობლიური კუთხე.

ჩვენ ვსაუბრობთ ხშირად ტელეფონით, სამწუხაროდ, მხოლოდ პოლონურად, კოტეს ძალიან გაუღარიბდა ქართული ლექსიკონი. მთხოვა წიგნები, სახელმძღვანელოები და ქართულს საფუძვლიანად ჩაუჯდა. მჯერა, მალე ისე ილაპარაკებს, როგორც ბავშვობაში. მან კარგად იცის რუსული, ინგლისური და შვედური ენები, პოლონურზე რომ არაფერი ვთქვათ. სტოკჰოლმში გადავიდა ლიცეუმის, ჩვენებურად საშუალო სკოლის დასამთავრებლად. ახლა მეთორმეტე, ბოლო კლასშია. მწერს, ატესტატს რომ ავიღებ, ვარშავაში ან თბილისში დავბრუნდებიო, ის ხომ საბჭოთა მოქალაქეა!

კოტემ ჭადრაკის თამაში ჯერ კიდევ თბილისში დაიწყო. მისი მუდმივი მეტოქე უფროსი ძმა ჯიმშერი იყო. ვარშავაში ბავშვი უფრო სერიოზულად დაინტერესდა ჭადრაკით. ჩანს, ნიჭი აღმოაჩნდა. ადგილობრივმა კლუბმა ყურადღება მიაქცია. შარშან კოტემ გაიმარჯვა ვარშაველ ჭაბუკთა შეჯიბრებაში. მერე კი პოლონეთის ჩემპიონიც გახდა. ამ წარმატებებმა გზა გაუკაფა დიდი სარბიელისკენ. მანამდე ვარშავის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. შარშან ზაფხულში კოტემ საბერძნეთში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში ითამაშა. წლეულს კი შვეიცის ჭაბუკებს აჯობა და ევროპის პირველი ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

როგორია კოტეს მომავლის გეგმები? დედამისი ამბობს, რომ ლიცეუმში იგი წარჩინებულ მოსწავლედ არის აღიარებული, ძალიან ძლიერია მათემატიკასა და ქიმიაში, შემდგომ ალბათ ერთ-ერთი ამ მეცნიერების შესწავლას შეუდგება. ვფიქრობ, ჭადრაკს თავს არ დაანებებს. პირიქით, მეტი გატაცებით გაჰყვება ამ გზას, რაკი წარმატებები მოიპოვა.

დასასრულს გიორგიმ გვითხრა:

— შვეიცაში მინდა წავიდე. კოტეს აუცილებლად გადავცემ, რომ მისი წარმატებები საქართველოშიც ყველას ახარებს!

„სამშობლოც“ წარმატებას უსურვებს ჩვენს თანამემამულეს ჭადრაკში, სწავლაში და მამულის სიყვარულში!

10 საუკეთესო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო ტრადიციული საახალწლო ანკეტა რესპუბლიკის 1971 წლის ათი უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლინებლად.

გთავაზობთ ანკეტის შედეგებს.

ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი), **შოთა ლომიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **ნინო დრონოვა** (სპორტული ტანვარჯიში), **ლუბოვ ასატუროვა** (მშვილდოსნობა), **თინა ლეკვეიშვილი** (ცურვა), **ანატოლ მოშიაშვილი** (მძლეოსნობა), **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა), **ზურაბ საკანდელიძე** (კალათბურთი), **დიტო შანიძე** (ძალოსნობა).

სპორტი მსაჯი — ოქროს მედალოსანი



სურათზე: შუაში გიორგი ბაქანიძე.

ამ რამდენიმე დღის წინათ სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მსაჯთა სია. პირველ ათეულში სხვებთან ერთად, დასახელებულია საქართველოს სამი წარმომადგენელი: **კარლო ყრუაშვილი, გიორგი ბაქანიძე** და **ანატოლი მილჩენკო**.

ამავე ცნობაში ნათქვამია, რომ უმაღლეს ლიგაში 100 მატჩის საუკეთესოდ მსაჯობისათვის გიორგი ბაქანიძე დაჯილდოვდა ოქროს სამსაჯო სამახსოვრო მედლით.

რედაქციაში მოვიწვიეთ „ოქროსმედალოსანი მსაჯი“, მიეცულოცეთ დიდი ჯილდო და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

● როდის იგრძენით, რომ თქვენი მოწოდება ფეხბურთის მსაჯობაა?

1949 წელს, როდესაც მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა უარი ვთქვი ჟავმხდარიყავი კინოოპერატორი და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩავირიცხე. მართალია, მაშინ ფეხბურთელობაზე უფრო ვოცნებობდი, ვიდრე მსაჯობაზე, მაგრამ ცუდ ფეხბურთელობას კარგი მსაჯობა ვარჩიე... ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ჩემს თავს რომ კარგ მსაჯს ვუწოდებ. ამ ორიოდე დღის წინათ მიღებულმა ოქროს მედალმა გამაბედვინა ამის თქმა.

● თუ გახსოვთ, პირველი მატჩი, რომელზეც მთავარი მსაჯი ბრძანდებოდით?

ეს იყო თერთმეტი წლის წინათ. როგორც გურულს, ლანწხუთისა და მახარაძის გუნდების შეხვედრის მსაჯობა დამავალეს. ეს თამაში ფრედ — 0:0 დამთავრდა. რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრის პირველი მსაჯობაც კარგად მახსოვს: დინეცკის „შახტიორი“ ლენინგრადის „ადმირალტეეცს“ მასპინძლობდა. მიმდინარეობდა თამაშის უკანასკნელი წუთი და აი მე, ახალბედა მსაჯმა, როდესაც ანგარიში საყაიმო — 1:1 იყო, დონეცკელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დავნიშნე. ლენინგრადელთა გამარჯვებამ, რა თქმა უნდა, მასპინძლებს გული დასწყვიტა, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას არც ფეხბურთელებში და არც პრესაში პროტესტი არ გამოუწვევია.

● როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯს, ხშირად გიხდებათ იყოთ საერთაშორისო მატჩების არბიტრიც. რომელი თამაში შერჩა ყველაზე მეტად მეხსიერებას?

დამეთანხმებით, ინგლისში სამსაჯოდ მივლინება თვით ყველაზე გამოცდილ არბიტრსაც კი შეაკრთობს. რასაკვირველია, როდესაც მითხრეს ქალაქ ლიდსში ადგილობრივი „ლიდს იუნაიტედისა“ და უნგრეთის „ფერენც ვაროშის“ შეხვედრას უნდა უმსაჯოო, ცოტა არ იყოს, შევცბი. მაგრამ მღელვარება მოედანზე გასვლისთანავე გაქრა. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ავტორიტეტულმა ჟიურიმ ჩემი მსაჯობა დადებითად შეაფასა.

● ხშირად გამიგონია ნათქვამი, მსაჯი ყველაფერს დაუნახავადაც ხედავსო, იქნებ გაიხსენოთ რომელიმე შემთხვევა, როდესაც თქვენც შეძელით „დაუნახავად“ დანახვა.

ლენინგრადის „ზენიტი“ მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. ლენინგრადელებმა ბურთი გაიტანეს, მოსკოველები გარს მეხვევიან და მარწმუნებენ, თამაშგარე მდგომარეობა იყოო. პროტესტს უსაფუძვლოდ ვთვლი და ცენტრისაკენ მივდივარ. უკმაყოფილოთა ბანაკიდან ვიღაც გაბრაზებული ურტყამს ბურთს, რომელიც ჩემს გვერდით ლენინგრადელ ფეხბურთელს თავში ხვდება. ვიხედები უკან — ჰუსაინოვი, ოსიანინი და ლოგოფეტი თვალებში შემომცქერიან. ლოგოფეტო, დატოვეთ მოედანი! — ვიძლევი განკარგულებას. გუნებაში კი ვფიქრობ: ვაითუ ვცდები-მეთქი. მაგრამ ინტუიციამ არ მიღალატა. დამნაშავე ზუსტად ამოვიცანი და ლოგოფეტმაც დატოვა მოედანი. მატჩის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩემთან მოვიდა და უხერხულისათვის ბოდიში მომიხადა, თან მკითხა, როგორ მიხვდით, რომ ბურთს ფეხი სწორედ მე დავარტყიო.

ავუხსენი — მსაჯი ყველაფერს გრძნობს, ყველაფერს ხედავს, მაშინაც კი, როდესაც შენკენ ზურგით დგახმეთქი...

● რა პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს ფეხბურთის მსაჯი?

პირველ რიგში, უნდა იყოს პატიოსანი, თავდავიწყებამდე უყვარდეს ფეხბურთი, იყოს ობიექტური, პრინციპული და... შემოქმედი. დიახ, მსაჯი, რომელიც მოედანზე მხოლოდ ფეხბურთისათვის დაწერილი კანონებით მოქმედებს, ვერაფერი მსაჯია.

ერთხელ მიხეილ ტალს ვკითხე: რა უფრო ადვილია, იყო ფეხბურთელი თუ მოჭადრაკე-მეთქი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა: ჩემი აზრით, ფეხბურთელობა უფრო ძნელიაო და დასძინა — დაფაზე ყველაფერი უმოძრაოდ არის. მოჭადრაკის გადაწყვეტილების მისაღებად, კომბინაციის განსაზღვრელად დროც აქვს და ხელსაც არავინ უშლის (ყოველ შემთხვევაში, მაისურს არავინ ახევს, არავინ ცილავს), მოედანზე კი ყველაფერი მოძრაობს, როგორც იტყვიან — ცხოვრება დუღს და გადმოდის, სპორტსმენთა განკარგულებაში მოსაფიქრებლად მწოლოდ წამებია და ისიც დაძაბული ბრძოლით მოპოვებულიო. შემდეგ გაჩუმდა და დასძინა: მაგრამ უფრო ძნელია იყო ფეხბურთის მსაჯი, კაცი, რომელიც ვალდებულია უშეცდომოდ უხელმძღვანელოს მოედანზე აფეთქებულ ვნებათა ღელვას, რომელიც ასე ხშირად ტრიბუნებსაც ეღება...

● თქვენი მიზანი როგორც მსაჯისა, როგორც აღმზრდელისა?

როგორც თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრის გამგეს, მინდა საქართველოში რაც შეიძლება მეტი პაიჭაძეები, მესხები, მეტრეველები (მხედველობაში მყავს სლავა და ალექსანდრე), ცერცვაძეები აღმოვაჩინო.

რაც შეეხება მსაჯის ოცნებას — მიუხედავად მსოფლიო პირველობიდან დავბრუნდე ოქროს სასტვენით, — ჯილდოთი, რომელსაც ფინალური მატჩის მონაწილე მსაჯებს გადასცემენ...

ლაურეატები

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ შეაჯამეს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის გაშუქების საკავშირო კონკურსი.

კონკურსის ლაურეატთა შორის არის ცნობილი ქართველი სპორტული კომენტატორი **კოტე მახარაძე**.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა გაზეთ „ლელოს“ მუშაკთა კოლექტივი.

პირველი ჩოგანი

1971 წლის საუკეთესო საბჭოთა ჩოგბურთელების სიას ვაჟთა შორის სათავეში უდგას ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. პირველ ჩოგნად თბილისელი სპორტსმენი მეოთხედ აღიარეს.

საუკეთესო ათეულში მეშვიდე ნომრად დასახელებულია თეიმურაზ კაკულია.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაამტკიცა ქვეყნის 33 უძლიერესი ფეხბურთელის სია. ქვეყნის უძლიერეს მარჭვენა მცველად აღიარებულია **რევაზ ძოძუაშვილი**, მარცხენა ცენტრალურ მცველად **მურთაზ ხურცილავა**.

„დინამო“ ვარჯიშს შეუდგა

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ზამთრის არდადეგების შემდეგ შეუდგნენ წინასასეზონო მზადებას უჯროსი მწვრთნელის გავრილ კაჩალინის ხელმძღვანელობით. „დინამოელები“ ეხლა ბაკურიანში იმყოფებიან, სადაც დაჰყოფენ 21 იანვრამდე.

ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲝᲗ, ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ!

ერთ ქართველ ჟურნალისტს უცხოეთში შეხვდა ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე... ამ შეხვედრამ დიდად გაახარა ორივე. პირველი მაშინვე ქართულად გამოელაპარაკა თანამემამულეს, რომელმაც მხრები აიწურა და ოდნავ წამოწითლებულმა უხერხულად გაუღიმა შემკითხველს, თან უცხოური კილოზე ჩაილაპარაკა: „აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგაქენო“... მერე კი მორიდებით განმარტა რუსულად:

— მამა არ მახსოვს, მისგან მხოლოდ ეს სიტყვები და გვარი დამრჩა სახსოვრად... და კიდევ იმისი შეგნება, რომ ვარ ქართველი!

თვალი დაეწვა ჟურნალისტსაც და ახლად გაცნობილ თანამემამულესაც...

„სამშობლოს“ სურს, რომ უცხოეთში მცხოვრებ არცერთ ჩვენს თანამემამულეს აღარ დახვდეს არცა თვალი და არცა გული, რომ არცერთმა თქვენგანმა არ დაივიწყოს მშობლიური ენა, ქართული წერა-კითხვა და ტკბილსაუბარი! რომ ქართველი მამისა და ფრანგი, იტალიელი თუ ესპანელი ქალის შვილი, გვარისა და სახელის გარდა, ქართულსაც ჰფლობდეს, როგორც მამულიშვილობის უპირველეს სამხილს.

სწორედ ეს სურვილი დაედო საფუძვლად პატივცემული პროფესორის ვალერიან რამიშვილის მიერ ქართული ენის გოგებაშვილისეული „დედაენის“ მიხედვით გაკვეთილების შედგენას, რასაც ის უსასყიდლოდ და მოკრძალებული სიყვარულით მოგართმევთ ჩვენს თანამემამულეებს, როგორც საახალწლო ნობათს და გულწრფელად უსურვებს ყველა თქვენგანის ძეს თუ ასულს შვილიშვილსა თუ შვილთაშვილს არ დაჰკარგოდეთ მშობლიური დედაენა, კაცურკაცობის უმთავრესი და უფაქიზესი სანუკვარი.

„სამშობლო“ წლევანდელი 1972 წლის პირველი ნომრიდან სიამოვნებით იწყებს გაკვეთილების ციკლს. ანბანისა და კითხვაში სავარჯიშო მასალების შემდეგ იაკობ გოგებაშვილისეული რვეულის ოთხხაზიან ბადეში მოთავსებულია ნიმუშები, რომელთა მიხედვით ადვილად შეიძლება ქართული წერის შესწავლა. კითხვისა და წერის ჩვევათა გასამტკიცებლად გამოვაქვეყნებთ აგრეთვე მცირე მოცულობის ტექსტებს — ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებსა და ოგვარაკებს... დავბეჭდავთ ქართულ სიმღერებსა და ნოტებს.

„სამშობლო“ წარმატებას უსურვებს ყველა დედასა და მამას, ბებიასა და პაპას თავისი სიხარულისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეში!



ი ა



ა ი ი ა.


ი ა

ი ა

ი

ა

ი ა. ა ი.





თათი
თა თი
თ ა თ ი
თ
თი-თი.თა-თი.
თი-თა. ა-თი.
ა ი თათი.
ა ი თითი.
ა ი თითა.
ა თი თათი.
ა თი თითი.
ა თი თითა.
ა ი ა თი თითი



წერილი რედაქციას

„სამშობლოს“ რედაქტორს

ბატონ გივი კარბელაშვილს



დიდად პატივცემულო რედაქტორო!


გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს მცირე საახალწლო გასაუბრებას ქართველი ემიგრაციისადმი, რომელსაც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მეც ვეკუთვნოდი. ჩემი ასეთი სურვილი იმით არის გამოწვეული, რომ მე უკვე ათი წელია ვცხოვრობ ჩემს საყვარელ სამშობლოში, ჩემს მშობელ ხალხში და მასთან ერთად განვიცდი სიხარულს იმ უდიდესი მიღწევებით ცხოვრების ყოველ დარგში, რასაც ჩვენმა ერმა მიაღწია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და ის გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად ამ დიდ სოციალისტურ ერთა კავშირში.

მსურს ამ ათი წლის ჩემი განცდები და შთაბეჭდილებანი ვამცნო ჩემს მეგობრებს, ნაცნობებს და თანამემამულეებს, რომლებიც კიდევ იმყოფებიან ემიგრაციაში და მოკლებულნი არიან საშუალებას საკუთარი თვალით ნახონ ეს ახალი და აღორძინებული ჩვენი საყვარელი სამშობლო — საქართველო. მე მაქვს სრული საფუძველი ვიფიქრო, რომ ვინც მიცნობს, მას ეჭვი არ შეეპარება ჩემს გულწრფელობაში. კაცს, რომელიც ასრულებდა მეტად საბიფათო საქმიანობას და რომლის სიცოცხლე ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა, ვერავინ და ვერაფრით ვერ ათქმევინებს არასწორ რაიმეს, თანაც დღეს, როცა ეს სულაც არავის ჭირდება. მტრებიც კი აღიარებენ საბჭოთა სამყაროს უდიდეს მიღწევებს — მტკიცე, ალალი მოკეთის მართალი ნათქვამი, მაშ რა ეჭვმისატანია!


ღრმად მწამს, რომ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია კეთილად გაიგებს ჩემს სურვილს მივესალმო თანამემამულეებს ჩემს პატარა მაიასთან ერთად და მსურს თქვენი საშუალებით სრულიად გულწრფელად მივმართო ქართველ ემიგრანტებს და იმ ქართველებს, რომლებიც სხვა და სხვა მიზეზით იმყოფებიან სამშობლოს გარეთ. — ძვირფასო თანამემამულენო! გილოცავთ ამ ახალ, 1972 წელს, სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, სულიერ მხნეობას, სამშობლოს სიყვარულსა და ტკბილად დაბერებას.

მრავალს დაესწარით!

შალვა ბერიშვილი



სურათზე: შალვა ბერიშვილი პატარა მაიასთან.





რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-2

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 2

ანდეზია 66488

ფასი 5 კაპ